ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №6854670

ნომერი: AR11008727

თარიღი : 29.12.2023

გაცემის თარიღი : 24.01.2024

გაცნობის თარიღი : 24.01.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერი , შესახვევი N13-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთი ახალკაცი პ/ნ 57001058180
- ხაშური ს. ალი

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თენგიზი ესიავა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ბლოქსი თავდადებულზე
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405626997
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დიმიტრი გოხელაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 59004001068

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 6794996
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 12.07.2023

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

## ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს ქეთი ახალკაცის 29.12.2023 წლის AR11008727 განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12/07/2023 წლის №6794996 ბრძანებაში და ბრძანების მე–3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 24 იანვრიდან 2026 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. “.
4. . მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
1) მოსამზადებელი სამუშაოები (დროებითი ღობისა და დამხმარე შენობების მოწყობა, ხეების მოჭრაგადარგვა).
2) შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება. გეოდეზიური დაკვალვითი სამუშაოები.
3) მიწის სამუშაოები; ფუძისა და საძირკვლის მოწყობა. ძირითადი მზიდი კონსტრუქციის, რკინაბეტონის კარკასის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე.
4) კარკასის მზიდი კონსტრუქციების და ლობის უჯრედების ელემენტების მოწყობა მონოლითური რკ.ბეტონით: ნიშნულები +0.00 -დან +10.40-მდე.
5) კარკასის მზიდი კონსტრუქციების და ლობის უჯრედების ელემენტების მოწყობა მონოლითური რკ.ბეტონით: ნიშნულები +10.40-დან + 26.90-მდე
6) კარკასის მზიდი კონსტრუქციების და ლობის უჯრედების ელემენტების მოწყობა მონოლითური რკ.ბეტონით: ნიშნულები +26,90-დან +42.60-მდე
7). გარე კედლების მსუბუქი ბლოკის წყობით ამოყვანა შევსება. შიდა კედლების მსუბუქი ბლოკის წყობით ამოყვანა შევსება.
8).ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; მაჯირების, ვირტაჟების მოწყობა, სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები.
9) მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, ხეების დარგვა.
10) ობიექტის დასუფთავება და ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები.
გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 1415 მუხლის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2025 წლის 31 დეკემბრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07/12/2023 წლის №6794996 ბრძანებასთან ერთად.

• საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.